ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №22

2 აგვისტო 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, დავით ფარცვანია, ნინო წულაძე.

სხდომა თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე (ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა
სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-032220866-03; 11-01222082304 27.07.2022წ)
(საკრ.№15-032220091-03; 11-01222002615 19.07. 2022წ)
საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.
კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალაგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, პროგრამაში „ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 08 08 02) წლიურ გეგმა იზრდება 100 000 ლარი, რომლის დაბალანსებაც ხდება „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი 08 08 01) შესაბამისად შემცირებით.
აღნიშნულ პროგრამაში არ არის საკმარისი რესურსი, ვინაიდან პროგრამა- „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, გაიზარდა მომართვიანობა უნივერსიტეტების, ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების ახალგაზრდებისთვის, ტრანსპორტის სერვისის მხარდაჭერის მიმართულებით, სოციალური ტურების, ექსკურსიების, საზაფხულო და ზამთრის პროგრამების ორგანიზებისათვის.
იზრდება პროგრამა „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა „ (პროგრამული კოდი 08 05) წლიური გეგმა 400 000 ლარით. დაბალანსება ხდება პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ (08 09) 200 000 ლარით შემცირების და პროგრამის „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (08 02) 200 000 ლარით შემცირების ხარჯზე.
გარდა ამისა წარმოდგენილია რაიონული გაგეობების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები.
„ნაძალადევის რაიონის გზების მოვლა-შეკეთება „ (პროგრამული კოდი 01 01 09) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 160 000 ლარით, „ჩუღურეთის რაიონის გზების მოვლა-შეკეთება „ (პროგრამული კოდი 01 01 11) 25 000 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (02 09 19) მესამე კვარტალი იზრდება 111 253 ლარით, ბენეფიციართა დაგეგმილზე მეტი მომართვიანობის გამო იზრდება მესამე კვარტლის გეგმა შემდეგ პროგრამებში: „ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“ (06

01 06) 400 000 ლარით, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ (06 01 07) – 80 000 ლარით, „სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (06 02 18 09) – 100 000 ლარით.

კომისიის წევრებს, მათ შეკითხვებზე დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა ლევან მიქავამ .

მომხრე-8 , თავი შეიკავა-ნინო წულაძემ, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურები,ასევე რაიონული გამგეობები ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ლევან არველაძე**